

17 მაისის აქციები – დაკავებულია 100–მდე მონაწილე



მიუხედავად იმისა, რომ დღეს პარლამენტის წინ აქცია ჩანიშნული არ იყო, ადგილზე ხადხი მაინც იკრიბებოდა, ძირითადად “ქართული მარშისა” და “ქართული მისიის” მხარდამჭერები.

მარშელები თავდაპირველად პირველ სკოლასთან შეიკრიბნენ, სადაც მათ ერთ-ერთი რიდერი რამაზ გაგნიძე პოლიციამ დააკავა. ამის შემდეგ, აქციის მონაწილეთა ნაწილი პარლამენტისკენ გადავიდა, ნაწილი კი მთავრობის ადმინისტრაციის შენობისკენ დაიძრა, თუმცა თანაგუნდელებმა მათ პარლამენტისკენ დაბრუნება მოუწოდეს.

დღესვე, შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცავებმა „საქართველოს ეროვნული ერთობის“ 2 წევრი დააკავეს. უწყების განცხადებით, მოძრაობის წევრები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით არიან დაკავებული, რაც წვრილმან ხურიგნობასა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს. მოძრაობის ინფორმაციით, უწყებამ მოძრაობის “შავპერანგიანთა ასმეთაური” თორნიკე ვაშაკიძე და “იდეოლოგიური მიმართულების მეთაური” ირაკლი ღუტიძე დააკავა.

საერთო ჯამში თბილისში სხვადასხვა ადგილას აქციების 100–მდე მონაწილეა დაკავებული. ამის შესახებ ჟურნალისტებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, დონდა თორთაიამ განუცხადა. მისი თქმით, ნაწილი დაკავებულია ადმინისტრაციული წესით, ნაწილი გადაყვანილია

გამოკითხვაზე.

„შსს მობილიზებულია, რათა აქციის თითოეული მონაწილის უფლება დაცული იყოს. თანასწორობის მოძრაობის იმ წევრებთან ვინც ღღეს აქ მოსვრას გეგმავს ჩვენ მჭიდრო კოორდინაცია გვაქვს. არანაირი საფრთხე არ ემუქრება იმას, რომ თავისუფლად გამოხატონ ღღეს თავიანთი აზრი“- განაცხადა თორორაიამ.



კონტრაქციის წევრების დაკავება სასურდერო პირმა, დეკანოზმა ერიზბარ თლიშვიდმა გააპროტესტა და პოლიციას მოუწოდა, რომ არ მოახდინონ აქციის მონაწილეების დაკავება , რადგან ღღეს რუსთაველის ქუჩა „მართლმადიდებლებს ეკუთვნით“.

„ვინც გამოვა და ხერს შეუშრის მართლმადიდებლებს, არატრადიციური მიმდევარი იქნება თუ რისი მიმდევარი იქნება და ხერს შეუშრის მართლმადიდებლებს ყველა დაიჭირეთ, დანარჩენებს თავი დაანებეთ. ვისაც დაიჭერთ ეკრესიაც გამოვა თქვენს წინააღმდეგ. ეს ქუჩა ეკუთვნის ეკრესიას 12 საათამდე. ჩვენ გზას ხომ არ ვკეტავთ? თქვენ ხერმძღვანელობას გადაეცით ვერავინ ვერ ჩაატარებს ვერც გვი, ვერც მამაძაღრი და ვერც პეტრე აქ . ეს არის მართლმადიდებლების ბეიმი. 12 საათის შემდეგ რაც უნდათ ის უქნიათ.“- განაცხადა დეკანოზმა ერიზბარ თლიშვიდმა.

დეკანოზ ერიზბარის თქმით, უნდა დაისაჯონ ის არასამთავრობოები, რომლებიც რგბტ აღამიანებს იყენებენ აქციის მოწყობაში და მათი მეშვეობით ეკრესიას უპირისპიდებიან

„ის არასამთავრობოები, რომლებიც იყენებენ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს ეკრესიის წინააღმდეგ პროვოკაციისთვის, უნდა დაისაჯონ.“ - განაცხადა დეკანოზმა.



„ქართული მარშის“ დიდერი ჰომოფობიურ აქციაზე დაკავებული პირების სასწრაფო გაათავისუფლებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აქციებით იმუქრება და აცხადებს, რომ ამას შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს:

„დაკავებები მოხდა აბსოლუტურად უკანონოდ, ასეთი დაკავებები მე არ მახსოვს საქართველოს უახლოეს ისტორიაში, როცა თითქმის ყველა პოლიტიკური დიდერი არის დაკავებული. ჩვენ მივმართავთ პროტესტის ყვედანიარ ფორმას, რათა სასწრაფოდ გაათავისუფლონ ეს ადამიანები საპყრობიდედან. დღეიდან დაიწყება ეს ყველაფერი. მე როგორც „ქართული მარშის“ დიდერი ვაკეთებ ოფიციალურ განცხადებას და მივმართავ ხერისუფლებას, რომ სასწრაფოდ გაათავისუფლოს ყველა ის დიდერი, რომელიც არის დაპატიმრებული, თორემ ამას მოჰყვება შემდგომში გამოუსწორებელი შედეგები, რომლის წარმოდგენაც არ მინდა ახლა. გზის გადაკეტვა და სხვა ღონისძიებები შესაძლოა ყველაზე რბილი ფორმა იყოს ამ შემთხვევაში.“ - განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.